საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2019 წლის 13 მარტი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №65/286-3/18

მოსამართლე -- -- მიმართ

-- -- 2018 წლის 22 ნოემბრის №-- საჩივრის საფუძველზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2019 წლის 15 თებერვლის №65/286-18 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 13 მარტის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმოებაში იმყოფებოდა საქმე, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, განაჩენის გადასინჯვის თაობაზე. საჩივარში აღნიშნულია, რომ სასამართლომ მსჯავრდებულის მიმართ არ გაავრცელა 2013 წლის 17 აპრილის ცვლილება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლთან დაკავშირებით.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2013 წლის 04 ივნისს, მსჯავრდებულ -- -- შუამდგომლობით მიმართა -- სააპელაციო სასამართლოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, განაჩენის გადასინჯვის თაობაზე, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლში 2013 წლის 17 აპრილს განხორციელებული ცვლილების საფუძველზე. -- სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 18 ივლისის განაჩენით, შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს (მოსამართლეები:-- --, -- --, -- --) 2014 წლის 06 თებერვლის განაჩენით, მსჯავრდებულ -- -- საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა -- სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 18 ივლისის განაჩენი.

3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75^2 მუხლის თანახმად, მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ ეკისრება, თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან გასულია 5 წელი, ხოლო დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან - 1 წელი.

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ან მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დაკისრების ვადა ამოიწურა.

მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 06 თებერვლის განაჩენით დადგენილ საკითხებს, რის გამოც, დღეის მდგომარეობით, ამოწურილია მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის 5 წლიანი ხანდაზმულობის ვადა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად დადსტურებულად ჩათვალა, რომ ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, ამოწურული იყო კონკრეტულ დისციპლინურ საქმეზე მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა. შესაბამისად, 2019 წლის 13 მარტის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე საკითხის განხილვაში მონაწილე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 13 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75[12] მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №65/286-3/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი